საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი–

საქართველოს ეროვნული არქივი

KA011966444793320

30 / მარტი / 2020 წ. **№ 5ძ/ს**

ბრძანება

სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში ელექტრონული საქმისწარმოების, ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის განსხვავებული წესების გარცელების შესახებ

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების მე-13 მუხლისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №246 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული არქივის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „ო" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გავრცელდეს სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივში ელექტრონული საქმისწარმოების, ადმინისტრაციული წარმოებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემის განსხვავებული წესები:

ა) შეჩერდეს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები;

ბ) შეჩერდეს საჯარო ინფორმაციისა და პერსონალური ინფორმაციის გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადები;

გ) შეჩერდეს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის მოქმედება.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 23 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საფუძველი: ეროვნული არქივის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი N26702, 30.03.2020 წ.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეონა იაშვილი